ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

N(N)LE Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

№ _____ 12.08.2021 წ.

**ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის
დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის**

ბრძანება №13

ქ. თბილისი

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე უნივერსიტეტის 1-3 პრიორიტეტული არჩევის პირობებში ეროვნული გამოცდების შედეგად ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლაში ჩარიცხული სახელმწიფო სასწავლო გრანტის მქონე სტუდენტებისთვის 2021– 2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების მინიჭების/მოხსნის შესახებ

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის "ე" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 14 დეკემბრის (ოქმი №8) და 2016 წლის 5 დეკემბრის (ოქმი №22) საოქმო დადგენილების, უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის 2018 წლის 20 მარტის N20 ბრძანების „2018 – 2019 სასწავლო წელს ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გზით ჩარიცხულ სტუდენტთათვის სწავლის შეღავათიანი პირობების განსაზღვრის შესახებ" და 2019 წლის 13 აგვისტოს N28 ბრძანების „2019 – 2020 სასწავლო წელს ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გზით ჩარიცხულ სტუდენტთათვის სწავლის შეღავათიანი პირობების განსაზღვრის შესახებ", ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის დეკანატიდან წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. მიეცეს სტიპენდია 2021 - 2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ყოველთვიურად 125 ლარის ოდენობით, სახელმწიფო კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტ ***ბარბარე ახვლედიანს*** (პ/N01017051728) რომელმაც ეროვნული გამოცდების შედეგებით 100%-იანი სახელმწიფო სასწავლო გრანტით ჩაირიცხა უნივერსიტეტის 1-3 პრიორიტეტული არჩევის პირობებში

უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის 2018 წლის 20 მარტის N20 ბრძანებით განსაზღვრულ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე და გასული - 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი დაასრულა მაღალი აკადემიური მაჩვენებლით - 98,8 ქულა.

2. **მიენიჭოს** შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსება 2021- 2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სწავლის წლიური საფასურის 20%-ის (წლიური - 450, სემესტრული - 225 ლარი) ოდენობით, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტ **ნათია სიყმაშვილს** *(პ/ნ*4000103848; საშუალო არითმეტიკული მაჩვენებელი 99,8 ქულა), რომელმაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით მოიპოვა 50%-იანი სახელმწიფო სასწავლო გრანტი, ჩაირიცხა უნივერსიტეტის 1-3 პრიორიტეტული არჩევის პირობებში უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, და 2020 - 2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი დაასრულა მაღალი აკადემიური მაჩვენებლით (სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად).

3. **მოეხსნას** შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსება 2021 – 2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სწავლის წლიური საფასურის 20%-ის (წლიური - 450, სემესტრულად - 225 ლარი) ოდენობით ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტ **მარიამ დოხნაძეს** (პ/ნ 01008063692), რომელმაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით მოიპოვა 50%-იანი სახელმწიფო სასწავლო გრანტი, ჩაირიცხა უნივერსიტეტის 1-3 პრიორიტეტული არჩევის პირობებში უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, მაგრამ 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი ვერ დაასრულა მაღალი აკადემიური მაჩვენებლით *(საშუალო არითმეტიკული* მაჩვენებელი 88,8 ქულა) (სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად):

4. ბრძანება გასაცნობად და შემდგომი რეაგირებისთვის დაეგზავნოთ: სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს; უნივერსიტეტის ბუღალტერიას; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის დეკანატს.

5. ბრძანების შინაარსი აისახოს სტუდენტთა საუნივერსიტეტო მონაცემთა ბაზაში.

6. ბრძანების მე-2 და მე-3 პუნქტების აღსრულება დაეევალოს სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს.

7. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე. განთავსება დაეევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

უნივერსიტეტის დამფუძნებლის
სრულუფლებიანი წარმომადგენელი,
ბოდბელი მთავარეპისკოპოსი
იაკობი (იაკობიშვილი)